

## წყაროები

სამცხე-ჯავახეთში საკმაოდ უხვია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსებით, აქ ფორმირდება 1.655 კმ<sup>3</sup> წყალი, რომლებიც მუნიციპალიტეტების მიხედვით არათანაბრად არის გადანაწილებული. წყლის რესურსები ძირითადად გამოიყენება მორწყვისათვის, სასმელ წყალმომარაგებასა და ჰიდროენერგეტიკაში. ზოგიერთი სოფელი განიცდის წყლის რესურსების დეფიციტს, რაც განპირობებულია არა წყლის რაოდენობის დეფიციტით, არამედ ჰიდროტენიკური ნაგებობების გაუმართაობითა და ავარიულობით.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე წყალთსარგებლობის საერთო მაჩვენებელი შეადგენს 200,46 მილიონ მ<sup>3</sup>, რომელთაგანაც: 173,66 მილიონი მ<sup>3</sup> აღებული იქნა ჰიდროენერგეტიკოსადგურებისათვის; 21,47 მილიონი მ<sup>3</sup> სასმელი და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის; 2,38 მილიონი მ<sup>3</sup> საწარმოო საჭიროებებისათვის; 2,80 მილიონი მ<sup>3</sup> თევზის სატბორე მეურნეობისათვის; 0,04 მილიონი მ<sup>3</sup> სასოფლო წყალმომარაგებისათვის; 0,10 მილიონი მ<sup>3</sup> სარწყავად

შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფილიალის 2012 წლის მონაცემებით სასმელი წყლის მაჩრჩხელების მიწოდება მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგია ახალციხე - 300 ლ/წმ, ახალქალაქი - 963 ლ/წმ, ადიგენი - 102 ლ/წმ, ასპინძა - 129 ლ/წმ, ბორჯომი - 246 ლ/წმ, ნინოწმინდა - 102 ლ/წმ.

მოსახლეობის უმრავლესობისათვის სასმელი წყალი ხელმისაწვდომია. მუნიციპალურ ცენტრებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი მიეწოდება ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემის მეშვეობით. სოფლების ნაწილი სარგებლობს სოფლის უბნებში მოწყობილი სასმელი წყლის ონკანებით. საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობით არის წყლის დანაკარგი გაუმართავი წყალმომარაგების სისტემების გამო. დღეისათვის რეგიონის ტერიტორიის მხოლოდ ნაწილში მიმდინარეობს მოხმარებული წყლის მოციფლოების აღრიცხვა.

რეგიონში მრავალი მინერალური წყალია. აღსანიშნავია ბორჯომის საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმისანი სამკურნალო წყალი, აგრეთვე წაღვერის ნახშირმჟავა-რკინის, ციხიჯვრის გოგირხლოჩვანი და სხვ. მინერალურ-თერმული წყლები. ბორჯომის მინერალური წყლის დეჰბიტი 700 მ<sup>3</sup> აღემატება, რომლის ტემპერატურა 17-380<sup>0</sup>ს-ის ფარგლებში მერყეობს. განმოიყენება ბალნეოლოგიურად და სამკურნალოდ. წარმოებს ინტენსიური ჩამოსხმა (XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს 400 მლნ-მდე ნახევარლიტრიანი ბოთლი, ამჟამად 35-40 მლნ ლ). მიტარბის წყლის დეჰბიტი უმნიშვნელოა (103 მ<sup>3</sup>/დღე-ღამეში), რომლის ტემპერატურა 200<sup>0</sup> აღემატება, სუსტად მინერალიზებულია (20/00), ამჟამად ჩამოსხმა არ წარმოებს.

აბასთუმნის აბანური "გოლიათის" წყარო (48.5 გრადუსი ტემპერატურა).  
"გვეჩლის" წყარო (42 გრადუსი ტემპერატურა). "სურაკანდის" წყარო (39 გრადუსი  
ტემპერატურა). სოფელ ჩორჩანსა და სმადაში ასევე თბილი წყლის წყაროებია.  
მინერალური წყლები "ლაღვი", "ფლატე" (134 მ<sup>3</sup> დღეღამეში) (რომლის  
ჩამოსხმაც დაიწყო 2006 წელს) სოფელ მლაშეში ე.წ. "დამპალი წყალი".

ასპინძასთან არის გოგირდოვანი წყლები, რომელიც გამოიყენება  
ბალნეოლოგიური მიზნებით.